სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №9

2012 წლის 22 თებერვალი

ქ. სენაკი

სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთების განსაზღვრის თაობაზე

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 და 25-ე მუხლების, „ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საჯარო მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების მოწესრიგების თაობაზე” საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 29 აგვისტოს №726 ბრძანებულების დანართი №4-ის შესაბამისად

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. დამტკიცდეს სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთები დანართი №1-ის შესაბამისად.

მუხლი 2. ამ დადგენილების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთების განსაზღვრის თაობაზე“ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 29 აპრილის №28 დადგენილება (www.matsne.gov.ge. 10/05/2011წ. სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.108.016048).

მუხლი 3. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მუხლი 4. დადგენილების მოქმედება გავრცელდეს 2012 წლის 1 თებერვლიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

მუხლი 5. დადგენილება გამოქვეყნდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე ბ. ნარმანია

დანართი №1

სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობის საჯარო მოსამსახურეთა

თანამდებობრივი სარგოს განაკვეთები

№	თანამდებობათა დასახელება	თანამდებობათა სარგოები (ლარებში)
1	*2*	*3*
1	გამგებელი	2360
2	გამგებლის მოადგილე	900
3	სამსახურის უფროსი, ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელი – თვითმმართველი ერთეულის რწმუნებული	700
4	გამგეობის სამსახურის განყოფილების უფროსი	500
5	გამგებლის თანაშემწე	450
უმცროსი საჯარო თანამდებობა		
6	მთავარი სპეციალისტი	420
7	წამყვანი სპეციალისტი	380
8	უფროსი სპეციალისტი	350
9	სპეციალისტი	330